განმარტებითი ბარათი

ჩვენს მიერ წეარმოდგენილია ქ. თბილისში ქანთარიას ქ. #11ა-ში არსებული ფანჯრის ნაწილობრივი ამოშენების, არსებული ღობის წყობის გამაგრებისა და კარის მოწყობის ფოტომონტაჟი. ობიექტი არ მდებარეობს ცენტრალურ ქუჩაზე.

არსებული ფანჯრის ნაწილობრივი ამოშენება

გათვალისწინებულია ასიმეტრიულ ფასადზე ფანჯრის ღიობის ნაწილობრივი ამოშენება. ამოშენებული სეგმენტი ილესება და იღებება ფასადის ფრად.

ღობის წყობის აღდგენა

პროექტით გათვალისწინებულია არსებული ღობის გამაგრება ფერის, ზომის და ფაქტურის შეუცვლელად.

კარის მოწყობა

ამჟამად ობიექტს გააჩნია მხოლოდ სამანქანო ჭიშკარი, რომელიც არ მდებარეობს ობიექტის იურიდიული მისამართის მხარეს. ფოტომონტაჟით გათვალისწინებულია ქანთარიას ქუჩის მხრიდან შავი ფერის ლითონის კარის მოწყობა. საპროექტო კარის სიმაღლეა 235სანტიმეტრი, ხოლო სიგანე - 150 სანტიმეტრი. კარი იღებება შავი ფერის ატმოსფერომედეგი საღებავით.